



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 2

ქ. გარდაბანი



26/01/2022

2-06-4-202201261609

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დადგინდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი №1 -ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ქ. გარდაბნის ტერიტორიის ზონირება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს - "გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ" - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge) 02/04/2021; სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.161.016487).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

